ბეგლარ სიორიძე: „ოზურგეთელებს გვაქვს უზარმაზარი პოტენცია, რომ ჩვენს ქალაქს დავუბრუნოთ ის ლაზათი, რომელიც არც თუ ისე შორეულ წარსულში ჰქონდა“

ქალაქ ოზურგეთის მერთან ბეგლარ სიორიძესთან მომზადებული ეს ინტერვიუ ერთგვარი ანგარიშია იმისა, თუ რა გააკეთა ქალაქის მერმა და მერიამ თავიანთი საქმიანობის პირველი ხუთი თვის განმავლობაში.

არის კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი, რის გამოც ეს ინტერვიუ შედგა, ქალაქის მერი 50 წლის გახდა.

– ბატონო ბეგლარ, მადლობა, რომ დრო გამონახეთ ჩვენთან სასაუბროდ. ქრონომეტრაჟზე არ შევთანხმებულვართ, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ვრცელი საუბარი გამოგვივა. მით უფრო, რომ ოზურგეთელი მკითხველისათვის საინტერესო და სასარგებლოც იქნება ეს დიალოგი. ბოლო მოვლენებიდან დავიწყებ, რომელიც, შეიძლება, მთლად სკანდალური არა, მაგრამ ზომაზე მეტად ხმაურიანი ნამდვილად გამოდგა. მხედველობაში მაქვს გასული წლის ბოლოს ქალაქის მუნიციპალიტეტის სხდომაზე თქვენი და საკრებულოს დეპუტატი ქალების თამარ ნადირიძისა და ნათია შარაშენიძის კამათი, რომელსაც მედიასაშუალებებმა მაშინვე „წვენი უხვად გაადინეს“. და მაინც, რამ განაპირობა ის, რაც ამ სხდომაზე მოხდა?

– აქ მოხდა ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი რამ ხსენებული ოპოზიციონერი დეპუტატი ქალბატონების მხრიდან. გაოგნებული ვარ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. როგორ შეიძლება ასეთი იაფფასიანი რაღაცებით, რეიტინგის მოსაპოვებლად, წახვიდე ყველაფერზე და უსაფუძვლოდ ცილი დასწამო ადამიანს?! ქალბატონმა ნათია შარაშენიძემ განაცხადა, რომ თურმე მე, ქალაქის მერს 4 თვის განმავლობაში მომიხმარია 27 ათასი ლარის საწვავი, რაც ტყუილი და ცილისწამებაა. ამიტომაც მივმართე სასამართლოს. სინამდვილეში მაქვს 450 ლიტრი საწვავის ლიმიტი (რეალურად ნახევარი თვის მარაგიც არ არის), რომელიც 4 თვის მანძილზე თანხობრივად შეადგენს 3348 ლარს. ამასთან, მერიის სხვა თანამშრომლებს არც ერთი ლიტრი საწვავი არ გაუხარჯავთ. ამისთვის მადლობას

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №3 (10093), 19 იანვარი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ოზურგეთის ყოფილ საავადმყოფოს შენობას ქალებიც ძარცვავენ

ალიონი. ოზურგეთის ყოფილი ცენტრალური საავადმყოფოს შენობა, რომელშიც უსახლკაროებია შეხიზნული, ბარბაროსულად იძარცვება და, როგორც ჩანს, ამ საქმეში მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებიან.

მას შემდეგ, რაც 13 იანვარს სამართალდამცავებმა შენობის გაქურდვის ფაქტზე ამავე შენობაში მცხოვრები ორი ქალბატონი (ერთი ქალაქის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელია), დაკითხვის მიზნით, პოლიციაში წაიყვანეს, აქ მცხოვრებნი ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ გელა კობალაძემ მოინახულეს.

შემთხვევის ადგილზე ჩვენი ყოფნის დროს ეს ქალბატონები პოლიციიდან დაბრუნდნენ. ერთ-ერთმა, კერძოდ დასუფთავების სამსახურის თანამშრომელმა დაადატურა, რომ „რაღაც რკინის ნაჭრები“ წაიღო, თუმცა ისიც თქვა; ახლა ჩვენ ორზე გადატყდება ჯოხიო“.

ჩვენი აზრით, რაც ამ ერთ ღამეში ყოფილი საავადმყოფოს შენობიდან გაიტანეს (ძველი კარ-ფანჯრები, ელექტროსადენები, სპილენძის კაბელები, ავეჯის ნარჩენები, რკინა-კავეული და სხვ.), ცხადია, ამას ორი ქალი ვერ მოახერხებდა, თუმცა ეს სამართალდამცავების კომპეტენციაა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ამ შენობაში შემორჩა. მისი თანამშრომლები ამბობენ, რომ აქ ქურდობის ფაქტებს სისტემატური სახე აქვს დღეღამის ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით ამ ხალხის შესახლების შემდეგ:

კალანდა – სელით ხოცამდე გუჩული დღესასწაული!

თუ გინდა რომ გურული ბოლომდე შეიცნო, მისი კალანდა უნდა ნახო და თუ გინდა, დასაჯო, მაშინ მას კალანდობის საშუალება არ უნდა მისცე

თემურ მარშანიშვილი

ვერ გეტყვით, ვინ რას ფიქრობს ზოგადად ბრენდებზე, მაგრამ კალანდა რომ სულხორციელად გურული ბრენდია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუ გინდა, რომ გურული ბოლომდე შეიცნო, მისი კალანდა უნდა ნახო და თუ გინდა, დასაჯო, მაშინ მას კალანდობის საშუალება არ უნდა მისცე.

ოზურგეთში, სოფელ დვაბზუში არსებულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში კალანდობის აღნიშვნა რამდენიმე წელია ტრადიციად იქცა და მისასალმებელია, რომ ეს ტრადიცია ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ არა მხოლოდ განაგრძო, არამედ შინარსითა და ფორმით კიდევ უფრო განავრცო და გააღრმავა.

მუზეუმის კოლორიტულ ეზოში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ იტყვიან, შეკრბა ერი და ბერი. ამინდიც საზეიმო განწყობილების შესაფერისი გამოდგა. ჭიშკრიდანვე შეუძახეს მასპინძელს, ისიც არ დაიბნა, თვალებგაბრწყინებული გამოეგება სტუმრებს და ზეიმიც დაიწყო. მუზეუმის ეზოდან ცამდე გაინავარდა ფოლკლორული ანსამბლების – „იადონისა და „გურიას““ მიერ შესრულებულმა გურულმა სიმღერებმა, ცეცხლოვანმა ქართულმა ცეკვებმა აატოკეს გურულთა მკვირცხლი სული. ნაღდმა იუმორმაც არ დამალა თავი: აივნის კიბე აირბინა და ხონჩით ხელში ზალის კარს მიადგა მომლოცველი:

– რა მოგაქვს! – გაისმა ზალიდან.

– ხვავი, ბარაქა, სიკეთე...

– რა მოგაქვს? – განმეორდა კითხვა.

– მშვიდობა, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, შვილთა სიმრავლე, ბედნიერება... – მოუმატა მომლოცველმა.

– არაფერს არ მეიტანდი, ღლონტი ხარ შენ... – ხარხარმა გადაფარა ფიშტოსავით გავარდნილი რეპლიკა.

კმაყოფილი და ბედნიერი ჩანდა მასპინძელი, აღტაცებული და ასევე ბედნიერი – სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ „ქართული ოცნების“ კურატორი გურიის რეგიონში ბატონი გოჩა მეგრელიშვილი, ბატონი ადიკო ივანიშვილი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი დავით ტაკიძე (შემოქმედელი), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა, სტუმრები აჭარიდან, რაჭიდან, იმერეთიდან...

ეს იყო გურული ფოლკლორით ზომიერად შეკმაზული, ჟანრობრივად და თემატურად ძვირფასი მძივივით ასხმული ღონისძიება, რისთვისაც მადლობა უნდა ვუთხრათ ორგანიზატორებს; სხვანაირად არც შეიძლებოდა, კალანდა ხომ სულით ხორცამდე გურული დღესასწაულია.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ირაკლი ალასანია ოზურგეთში

ალიონი. 14 იანვარს, ქ. ოზურგეთში, საქართველოს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ჩამოვიდა. მასთან ერთად იყვნენ პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, პარლამენტარი ნინო გოგუაძე, პარტიის გენერალური მდივანი ალექსანდრე პეტრიაშვილი, რეგიონალური მიმართულების ხელმძღვანელი თემურ სალუქვაძე.

ალასანია თავდაპირველად ოზურგეთის საკათედრო ტაძარში მივიდა, სადაც თავისუფალი დემოკრატების ოზურგეთის აქტივი ელოდებოდა.

ირაკლი ალასანიას შეხვდა შემოქმედელი მიტროპოლიტი, მეუფე იოსები, რომელმაც სტუმრები რეზიდენციაში მიიწვია. მეუფის თანხლებით, სტუმრებმა ხსოვნის სანთელი აანთეს საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას საფლავთან.

როგორც თავისუფალი დემოკრატების პრესსამსახურმა, ლევან ჯორბენაძემ გვითხრა, ირაკლი ალასანია დედულეთში საკალანდოდ ჩამოვიდა. ოზურგეთიდან ის სოფ. ბახვში გაემგზავრა, სადაც ეკლესიაში მოლოცვის შემდეგ, წინაპართა საფლავები მოინახულა და მშობლიური სოფლიდან გურულებს და სრულიად საქართველოს „კალანდობა“ მიულოცა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას

მოგახსენებთ, რომ ვართ დღის ცენტრ „ცისკრის ვარსკვლავის“ აღსაზრდელების მშობლები. ჩვენ ძალიან აღვშფოთდით თქვენი გაზეთის 8 იანვრის ნომერში დაბეჭდილი მასალით.

ჩვენ წარმოვადგენთ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს. ჩვენი შვილები დადიან დღის ცენტრ „ცისკრის ვარსკვლავში“, სადაც კითხულობენ ლოცვებს, მეცადინეობენ. აქვთ ორჯერადი კვება, აქვთ ღონისძიებები. ბავშვები თავს გრძნობენ კომფორტულად. ჩვენ ძალიან დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალბატონ ხათუნა ცერცვაძეს, თითოეულ პედაგოგს, რადგანაც ბავშვები თავს ასე კომფორტულად გრძნობენ. ხშირად ურიგდებათ საჩუქრები და ბავშვებს პედაგოგების მიმართ ძალიან დიდი სიყვარული აქვთ.

მშობლები: **მანანა კიკვაძე, მანანა შევარდნაძე, კოტე გოგუაძე, სოფიო ჩიგოგიძე, ქეთევან მარგალიტაძე, თეა ვაშყმაძე, ნინო ცქვიტინიძე, ცისანა ინწკირველი**

რედაქციისაგან: 14 იანვარს რედაქციაში დღის ცენტრის ბენეფიციარის, მეორეკლასელ სბა შუბლაძის ბებია ნანა კვაჭანტირაძე მოვიდა შვილიშვილებთან ერთად. ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკუთარი ინიციატივით იყო მოსული.

– არ შემეძლო. რომ არ მოვსულიყავი. ცოტა გაკვირვებული დავრჩი თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილით, რადგან „ცისკრის ვარსკლავში“ ბავშვებს ნამდვილად კარგი პირობები აქვთ შექმნილი. კი, ლურსმანაშვილი ცელქი ბავშვია, სხვებიც ანცობენ, მაგრამ ძალადობის მსგავსი არც ერთისგან არაფერი მსმენია. იცით, ახლა გადასარევი კონცერტი ჰქონდათ, ყველა შესანიშნავად მღეროდა, – გვითხრა ქალბატონმა ნანამ.

იმავე დღეს შშმ პირი თამარ ლურსმანაშვილი საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ მოინახულა. თამართან ცხოვრობს გიზო ლურსმანაშვილის ბებია მზია. აქვე იყო გიზოს დედა ნატო ქობალავა:

– ვიცი, ჩემი შვილი ცელქია, მაგრამ არა ბავშვებზე მოძალადე. ყოველდღე ვაკითხავდი დღის ცენტრში. სამწუხაროდ, 26 დეკემბერს არ ვიყავი, როცა ხელი მოიტეხა.

მართალი გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელი და თავზარდამცემიც აღმოჩნდა ფრაზა: „გიზო ხშირად ძალადობდა სხვა ბავშვებზე.“ არავის ვჩივლობ, მხოლოდ ერთს გავაკეთებ: გიზო დღის ცენტრში აღარ ივლის.... - დანანებით თქვა ქალბატონმა ნატომ.

გაზეთი „ალიონი“ არ აპირებს ამ თემაზე დისკუსიების გამართვას, რადგან როგორც ბენეფიციართა მშობლები, ისე პედაგოგები თავგადადებული გვიმტკიცებენ, რომ ხსენებულ დღის ცენტრში ყველაფერი იდეალურადაა.

თუმცა, ერთი რამ მაინც არის დასაფიქრებელი: თუ „ცისკრის ვარსკვლავში“ ყველაფერი რიგზეა, რატომ მოხდა ეს ორგანიზაცია, არამიზნობრივ ხარჯვებთან დაკავშირებით, აუდიტის დასკვნაში, სადაც შავით თეთრზე წერია:

„2012-2013 წლებში სოციალურად დაუცველ ბავშვთა „დღის ცენტრის“ თანადაფინანსების პროგრამით დახარჯულია 72,0 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა უკიდურესად შეჭირვებულ ბავშვთა ორმაგი კვებით უზრუნველყოფას. აუდიტორული დასკვნის საფუძველზე ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია „დღის ცენტრის“ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და სხვა ხარჯები“.

მაჟორიტარი დეპუტატის აქცია ოზურგეთში

13-14 იანვარს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ, გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელ ქეთი მოისწრაფეშვილთან ერთად, ქ. ოზურგეთში, დაბა ურეკში, ასევე სოფლებში ნატანები, თხინვალი, კონჭკათი, ციხისფერდი, გურიანთა, შემოქმედი შშმ პირებს ეტლები, ხოლო სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს (მათ მიერ შერჩეულებს) – „ნიკორას“ ბარათები. საკალანდო სურსათ-სანოვაგის შესაძენად გადასცა.

მაჟორიტარი დეპუტატი ამ ოჯახების მდგომარეობას ადგილებზე გაეცნო და მათი პრობლემები პირადად მოისმინა.

სოფ. თხინვალში, სოციალურად დაუცველმა ნანული ხურციძემ მაჟორიტარ დეპუტატს და მუნიციპალიტეტის გამგებელს დასაქმებაში დახმარება სთხოვა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ ჭანყვაძის თქმით, სოფ. მერიაში, ყოფილ სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე ხუთსართულიანი კორპუსი გარემონტდება და უსახლკარო და მეწყერისაგან დაზარალებულ ოჯახებს შეასახლებენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ქალბატონმა თამარ ლურსმანაშვილმა, რომელიც ქ. ოზურგეთში მერაბ კოსტავს ქუჩაზე ცხოვრობს, ზვიად კვაჭანტირაძეს განსაკუთრებული მადლობა იმის გამო გადაუხადა, რომ დეპუტატს დიდი წილი მიუძღვის მისი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. თამარის დედა, მზია ლურსმანაშვილი გასულ წელს დეპუტატს ბიუროში შეხვდა და საცხოვრებელი ფართის რემონტთან დაკავშირებით დახმარება სთხოვა. ზვიად კვაჭანტირაძემ თამარის ახალგარემონტებული ბინა დაათვალიერა და ამ ოჯახს მრავალი ბედნიერი წლის დადგომა უსურვა. დეპუტატი ამ ბინაში მცხოვრები სხვა სოციალურად დაუცველი პირების საცხოვრებელი პირობებით დაინტერესდა.

ოზურგეთის ყოფილ საავადმყოფოს შენობას ქალებიც ძარცვავენ

(პირველი გვერდიდან)

„შენობის გაქურდვა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, როცა საავადმყოფო სერზე, ახალ შენობაში განთავსდა, ახლა კი, ამ ხალხის შემოსახლების შემდეგ, სისტემატური და საშიში სახე მიიღო. შეიარაღებულები არიან ნაჯახებით, ძალაყინებით და არბევენ აქაურობას. მალე ალბათ ჩვენაც მოგვადგებიან. ასეთ პირობებში ნორმალური მუშაობა წარმოუდგენელია, საშიშია კიდეც“, – გვითხრა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგმა ქალბატონმა ზეინაბ სიმონიშვილმა.

მომხდარის შესახებ კომენტარი გააკეთა ქალაქის მერმა:

„როგორც იცით, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ამ ოჯახებს 1 მარტამდე გადავუხადოთ გახარჯული ელექტროენერგიის საფასური. მოხდება საცხოვრებელი ფართით მათი დაკმაყოფილებაც, როცა დამთავრდება ყოფილი სამშობიარო კორპუსის რემონტი. მაგრამ მერია მხოლოდ იმ ოჯახებზე ზრუნვას შეძლებს, რომლებიც ქალაქში არიან რეგისტრირებული. საკითხზე მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც უსახლკაროთა ბაზას ქმნის. თუმცა, ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენობა ასე განუკითხავად იძარცვებოდეს“ – განაცხადა ბეგლარ სიორიძემ.

როგორც აქ გაირკვა ფართისა და სამუშაო პირობების პრობლემა აქვთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებსაც. ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ მაია ქუტიძეს მერმა ქალაქის მერიისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დაავალა და თქვა, რომ ახლო მომავალში ჯანდაცვის ცენტრს ქალაქის ტერიტორიაზე ახალ ფართს გამოუყოფს.

ორიგინალური ურნა „ბიჩოკების“ ჩასაყრელად

ალიონი.. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე მოვაჭრეები უმალ გამოეხმაურენ ახალ კანონს „დამნაგვიანებელთა წინააღმდეგ საჯარიმო სანქციების შემოღების შესახებ“ და ორიგინალური ურნა „გამოიგონეს“. როგორც სურათზე ხედავთ, ურნა პლასტმასის ხუთლიტრიანი ჭურჭლისაგან არის დამზადებული და გამოიყენება სიგარეტის ნამწვების („ბიჩოკების“) ჩასაყრელად.

სამადლობელი

დაკარგული ფული დამიბრუნა

ზვანში „ლუკოილის“ ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებულ აფთიაქში წამალი შევიძინე. სახლში რომ მივბრუნდი, აღმოჩნდა, რომ დანარჩენი თანხა ჯიბიდან ამომვარდნია. შევწუხდით ოჯახის წევრები, მაგრამ ჩვენი წუხილი იმავე დღეს სიხარულით შეცვალა ამ აფთიაქის ფარმაცევტმა ნანა ჩიკვაიძემ, რომელმაც დაკარგული ფული უკლებლივ უკან დამიბრუნა. ის კი არა, მეძებდა თურმე ფულის გადმოსაცემად. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა მადლობა გადავუხადო ამ ახალგაზრდა გოგონას, ასევე ხსენებული აფთიაქის გამგეს ცირა ჩხარტიშვილს და ფარმაცევტ ნათია ლომინაძეს გამოჩენილი გულისხმიერებისათვის.

ვალიკო კვერღელიძე,
85 წლის პენსიონერი სოფელ ოზურგეთიდან.

ბეგლარ სიორიძე: „ოზურგეთელებს გვაქვს უზარმაზარი პოტენცია, რომ ჩვენს ქალაქს დავუბრუნოთ ის ლაზათი, რომელიც არც თუ ისე შორეულ წარსულში ჰქონდა“

არავისგან ვითხოვთ, მაგრამ ნუ დაგვბრალებენ ისეთ რამეს, რომელსაც სიმართლესთან იოტისოდენა შეხებაც არ აქვს.

ქალბატონმა ნათიამ ასევე გააკეთა განცხადება, თითქოს ტენდერის გარეშე, უკანონოდ გავაფორმეთ ხელშეკრულება მშენებელ შპს-ებთან. ამ დროს არსებობს საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულება, რომლის მიხედვით ვალდებული ვიყავით, სასწრაფოდ, პირდაპირი შესყიდვის წესით დაგვედო ხელშეკრულება საპროექტო ორგანიზაციებთან, რათა რაც შეიძლება მალე მომხდარიყო მოსახლეობისა და ქალაქისთვის სტიქიით მოყენებული ზარალის ანაზღაურება და მსგავსი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარება.

აქვე მინდა აღვნიშნო, როცა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა, მე მაშინ ვითხოვე დრო განცხადების გასაკეთებლად, მზაობა გამოვხატე, მეპასუხა ნებისმიერი შეკითხვისთვის და ასევე ვითხოვე, საკრებულოს წევრებსაც გაეცათ პასუხი ჩემს შეკითხვებზე.

რაც შეეხება ქალბატონ თამარ ნადირიძეს, აბსოლუტურად გულწრფელად მივმართე, თუ მას ნამდვილად სიკეთე უნდა ჩვენი ქალაქისთვის, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, სანამ პრესით გაავრცელებდა არასწორ ინფორმაციას, მანამდე ერთად გაგვევლო მისთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხი. რაოდენ გასაოცრად უნდა მოგეჩვენოთ, მან ამის გამო დატოვა დარბაზი.

მოგვიანებით ნათია შარაშენიძეც გავიდა დარბაზიდან კითხვებზე პასუხგაუცემლად, თან გაავრცელა ახალი ცრუ ინფორმაციები, რომ მას თავისუფლება შეუზღუდეს, თითქოს ხელი გადაუგრიხეს და დარბაზიდან არ უშვებდნენ. არსებობს ამ სხდომის სრული, უწყვეტი ვიდეოჩანაწერი, სადაც ნათლად ჩანს, რომ ქალბატონი ნათიასთვის არავის არაფერი შეუზღუდავს.

— ამ დეპუტატებს მერიის საჯარო მოხელეთა კონკურსთან დაკავშირებით ჰქონდათ შეკითხვები, ტესტირების კანონდარღვევით ჩატარებაზეც აკეთებდნენ აქცენტს...

— ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, მსგავსი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მერიის თანამშრომელთა ტესტირება ჩაეტარებინათ ქალაქ ბათუმის იუსტიციის სახლში. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიუხედავად, ანალოგიურმა ცილისმწამებლურმა განცხადებამ აქაც გაიჟღერა, თითქოს ტესტირება ჩატარდა კანონის დარღვევით და ქალაქის მერიაში ჩემი ნათესავები დასაქმდნენ.

ხმამაღლა ვაცხადებ: თუ ვინმე ქალაქის მერიაში დასაქმებულთა შორის აღმოაჩენს თუმდაც ერთ ჩემს ნათესავს, საჯაროდ ბოდიშს მოვუხდი ოზურგეთის საზოგადოებას. აქვე დავძენ: დღემდე ბევრი განაწყენებული ნათესავი მყავს, ხვალაც შეიძლება გამინაწყენდნენ, მაგრამ ქალაქის მერიაში დასაქმდებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია.

მინდა, კარგად გაიგონ, როგორც ამ ქალბატონებმა, ისე ოპოზიციურად განწყობილმა მოქალაქეებმა, რომ ბეგი სიორიძის ერთადერთი ინტერესია, რის ფასადაც უნდა დაუჯდეს, ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ, გააკეთოს მაქსიმუმი, რა თქმა უნდა, არსებული საშუალებებიდან გამომდინარე.

— ბატონო ბეგლარ, ქალაქის საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებისთვის ხელფასების მატებასაც მოჰყვა გარკვეული ვნებათაღელვა და არა მხოლოდ ოპოზიციონერი დეპუტატებიდან, საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილი არ მიიჩნევს ამ ფაქტს მართებულად, რადგან ზოგადად, ქვეყანაში და კერძოდ, ჩვენს ქალაქში მძიმე სოციალური ფონია.

— კანონმდებლობის შესაბამისად, სახელფასო ფონდი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს, ჩვენს ბიუჯეტში კი სახელფასო ფონდი 18%-საც არ აღწევს. არანაირი ხელფასის მატება არ მომხდარა.

საქმე ისაა, რომ შარშან, 2 აგვისტოს, როცა ქალაქის ახალი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლება შეუდგა საქმიანობას, დღის წესრიგში დადგა ხელფასების დანიშვნის საკითხი. მაშინ მე მოვუწოდე მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს, არსებული ბიუჯეტის პირობებში, დაგვენიშნა შედარებით მოკრძალებული ხელფასები და არა ისეთი, როგორიც 12-დან 11 თვითმმართველი ქალაქის მერიებისა და საკრებულოების თანამშრომლებს ჰქონდათ. ამით არც თუ ისე ცოტა თანხა დავზოგეთ არსებულ ბიუჯეტში, მაგრამ ვისაც დანახვა არ სურს, ის ვერ დაინახავს ვერაფერს. მხოლოდ და მხოლოდ 5 თვის შემდეგ, 2015 წლის 1 იანვრიდან ქალაქ ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა ხელფასები გაუტოლდა დანარჩენი 11 თვითმმართველი ქალაქის საჯარო მოხელეთა ხელფასებს.

ამ საკითხზე ჩემი აზრი ასეთია: ნებისმიერ თანამშრომელს, საჯარო სამსახურში თუ კერძო სტრუქტურაში, უნდა ჰქონდეს მაღალი ანაზღაურება, ნებისმიერი თანამშრომელი, შესაბამისად, მაღალკვალიფიციურად უნდა ასრულებდეს თავის ვალდებულებას და გრძნობდეს მაქსიმალურ პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობისადმი.

მე, როგორც ქალაქის მერს, თანამშრომლისგან მაქსიმუმის მოთხოვნისას უხერხულობა არ უნდა შემიქმნას იმან, რომ მას მწირი ხელფასი აქვს.

— განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება, საბოლოოდ, სად დაიდებს ბინას ქალაქის ხელისუფლება. თუ არ ვცდები, ჯერ ქალაქის ხელისუფლების უძველესი შენობა დასახელდა, შემდეგ — ყოფილი სასტუმრო „გურია“. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, ამათგან რომელი იქნება ქალაქის ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობა?

— ამ საკითხთან დაკავშირებით, არ მინდა უარყოფით კონტექსტში მოვიხსენიო ადამიანები, ვინც დღეს თანამდებობებზე არ არიან, მაგრამ მათ კისერზეა ის, რომ დღემდე გაურკვეველ ვითარებაში უწევთ საქმიანობა ქალაქის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს.

აგერ, თქვენს წინ მიდევს პროექტი, რომელიც უკვე დამტკიცდა და შესაბამისი თანხაც იყო გამოყოფილი, ქალაქის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ კორპუსად უნდა გადაკეთებულიყო ყოფილი სასტუმრო „გურია“. ნებისმიერი ოზურგეთელი დამეთანხმება ალბათ, რომ ეს იქნებოდა უნიკალური, ამით ოზურგეთის ცენტრიც ძირეულად შეიცვლიდა იერსახეს. დღეისათვის კი 23 ადამიანი ზის ერთ ოთახში. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მათ გაუჭირდებათ კვალიფიციურად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

ალბათ, ამ თვის ბოლოს მივმართავთ ინფრასტრუქტურის სამინისტროს და დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება.

— თქვენი მერობის პერიოდმა უკვე ხუთი თვე მიითვალა. არც ისე დიდი დროა, მაგრამ საინტერესოა, მოასწარით ამ მოკლე დროის მანძილზე ის, რისი გაკეთებაც გქონდათ დაგეგმილი?

— ბეგი სიორიძის სურვილი გაცილებით მეტი გახლავთ, მაგრამ ასეთ რთულ ვითარებაში, დამერწმუნეთ, მაქსიმუმი შევძელით, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი. შევეცდები, მოსახლეობას ერთგვარი ანგარიშის სახით მივაწოდო შესაბამისი ინფორმაცია.

3,3 მილიონი ლარი არის ჩადებული ოზურგეთის წყალგაყვანილობის სისტემის შესაცვლელად, სამუშაოები, რომელიც უკვე აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს, ქალაქის ძირითად ნაწილში ერთი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს. 1971 წლის შემდეგ ეს სისტემა არ შეცვლილა და დარწმუნებული ვარ, ოზურგეთელებს ესმით, რასთან გვაქვს საქმე.

ასფალტი დაიგო და სანიაღვრე არხები გაკეთდა წმინდა გიორგის ქუჩაზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიამდე. იგეგმება ამ ქუჩის ბოლომდე მოასფალტება.

ექსპლუატაციაში შევიდა ქალაქის №2 საბავშვო ბაღი. თითქმის უკვე დასრულებულია და ამ დღეებში შეუდგება მუშაობას რკინაბეტონის დასახლებაში არსებული №6 საბავშვო ბაღი.

დაიხაზა მთელი ქალაქის ქუჩები, რის შედეგად საგრძნობლად მოწესრიგდა ქალაქში ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა.

დაიწყება სამი მრავალსართულიანი კორპუსის სახურავის შეცვლა და მთლიანად შეკეთდება ორი კორპუსის ფასადი, მათ შორის 12-სართულიანი კორპუსი შადრევანთან.

უკვე გამოყოფილია თანხა და უახლოეს დღეებში დაიწყება აღმაშენებლის ქუჩის ორივე მხარეს სანიაღვრე არხებისა და ტროტუარების მოწესრიგება სოფელ შემოქმედის გადასახვევამდე. იგივე სამუშაოები დაიწყება ბაზრის წინ, გურიის ქუჩაზე.

მდინარე ბაზრისწყალი მთლიანად ჩაისმება ჯებირში (ასეთი რამ არც ერთ დროში არ გაკეთებულა, მათ შორის არც კომუნისტური წყობისას), რაც ერთხელ და სამუდამოდ თავიდან აგვაშორებს წყალდიდობით გამოწვეულ სტიქიურ მოვლენებს და, შესაბამისად, მოსალოდნელ ზარალს.

უკვე გამოყოფილია თანხა 17 პროექტის განსახორციელებლად, რომელიც არა მხოლოდ სტიქიისგან დაიცავს ქალაქს, არამედ შეცვლის მის იერსახესაც.

ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უკვე დაამტკიცა და უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი ავტობუსების შეძენის თაობაზე. ქალაქში მუნიციპალური შიდასაქალაქო ტრანსპორტით უფასოდ იმგზავრებენ სოციალურად დაუცველები, შშმ პირები, პენსიონერები, პედაგოგები და ბავშვები.

გვერდს ვერ ავუვლი ალეგრობის დღესასწაულს, რომლითაც აღფრთოვანებული დარჩნენ, როგორც თანაქალაქელები, ისე ჩვენი ქალაქის ყველა სტუმარი.

არანაკლები რეზონანსი მოჰყვა

ქალაქის საახალწლოდ მორთვას, რომელიც კულტურის სამინისტრომ რეგიონებში საუკეთესოდ მიიჩნია. ეს ყველაფერი გაკეთდა მიზერული თანხით.

ვერაფრით დავეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც თუნდაც ამ უმნიშვნელო თანხებს „ტაშ-ფადურაში“ დახარჯულად მიიჩნევს, ოზურგეთი ფოლკლორის ქალაქია და დიახაც, ოზურგეთელმა ბავშვებმა უნდა ისწავლონ ცეკვა და სიმღერა. ოზურგეთის თეატრში უნდა დაიდგას სხვადასხვა სახის სპექტაკლები და ოზურგეთის კინოთეატრში უწყვეტად შედგეს კინოსეანსები. სულ მალე ოზურგეთს ექნება ასეთი კინოთეატრი.

აღარაფერს ვამბობ ქალაქის ცენტრში, სასტენდო კედელზე დიდი ილიას „მამული, ენა, სარწმუნოების“ განახლებაზე, სოფელ მაკვანეთთან დამაკავშირებელი ხიდის განათებასა და სხვა მრავალ საკითხზე, რომლის შესახებაც დაინტერესებულ პირს სრული ინფორმაციის მიღება ჩემს ფეისბუქ-გვერდზე შეუძლია.

ვინც კარგად არის გარკვეული, რასთან არის დაკავშირებული ყველა ამ ტენდერისა და პროექტის ბოლომდე მიყვანა, მას ალბათ არ გაუჩნდება კითხვა, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა კიდევ ოზურგეთისთვის მოცემულ ვადაში. თუმცა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ოზურგეთში ყველაფერი კარგადაა, რამდენადაც ამდენი წლის მანძილზე უამრავი პრობლემის წინაშე იდგა ჩვენი ქალაქი.

— როგორი იქნება 2015 წელი ოზურგეთისთვის, რა გაკეთდება, რა შეემატება წლეულს ჩვენს ქალაქს?

— 2015 წლის ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებშია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მიმდინარეობს ქალაქის წყალგაყვანილობის სისტემის შეცვლა, რაც, ბუნებრივია, ვერ ხერხდება ქუჩებში თხრილების გაჭრის გარეშე. ამიტომ, ამ სამუშაოების დამთავრების შემდეგ აუცილებელია ქალაქის ცენტრალური ქუჩების მოასფალტება და ტროტუარების მოპირკეთება (რა თქმა უნდა, უკეთესია, თუ ამას გარეუბნებშიც მოვახერხებთ).

პრიორიტეტულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, ამ სახლების ეზოების კეთილმოწყობა, 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებას.

ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია ის, რომ ვგეგმავთ უსახლკაროთა შენობის რეაბილიტაციას, სადაც ადამიანებს ექნებათ ცხოვრებისთვის ნორმალური პირობები. დღეის მდგომარეობით, ეს ადამიანები, ფაქტობრივად, უნებართვოდ არიან შეჭრილი ყოფილი საავადმყოფოს შენობაში. შევქმენით კომისია, რომელიც უახლოეს დღეებში დააზუსტებს ქალაქში მცხოვრებ უსახლკაროთა ბაზას. 2015 წელს ჩვენ ყველა მათგანს დავაკმაყოფილებთ ფართით. არის სხვა პროექტებიც, რომელთა განხორციელება წელს იგეგმება.

— ბიზნესიდან პოლიტიკაში გადმონაცვლებულს განსხვავებულ რეჟიმში გიხდებათ მუშაობა. როგორ შეეგუეთ ამ რეჟიმს და, თუ საიდუმლო არ არის, რა მდგომარეობაშია დღეს თქვენი ბიზნესი?

— მართალი გითხრათ, ასეთ პირობებში გამიჭირდა და ახლაც მიჭირს უსაზღვროდ დატვირთული დღის რეჟიმით მუშაობა, მაგრამ ვგრძნობ სრულ პასუხისმგებლობას და დღითიდღე უფრო მეტად ვეჩვევი ამ რეჟიმს.

რაც შეეხება ჩემს ბიზნესს, სულ რამდენჯერმე მოვინახულე ჩემი საწარმო და სხვა ობიექტები და კარგად არც კი ვარ ჩახედული, რა მდგომარეობაა დღეს იქ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ის ადამიანები, რომლებიც მანამდე მართავდნენ და დღესაც მართავენ ჩემს ბიზნესს, ძველებურად გაართმევენ თავს მინდობილ ვალდებულებებს, რაც ერთგვარ სტიმულს მაძლევს, ჩემს საქმიანობას ხელი არ შეუშალოს სხვა გარემოებებმა.

როცა გადავწყვიტე კენჭი მეყარა და ქალაქის მერი გავმხდარიყავი, ბევრი ჩემი ახლობელი (ოჯახის წევრებიც კი) მირჩევდა, არ გადამედგა ეს ნაბიჯი იმდენად, რამდენადაც უამრავი წინააღმდეგობის წინაშე აღმოვჩნდებოდი. მას შემდეგ, რაც ქალაქის მერი გავხდი, უკვე ნათლად დავინახე ყოველივე ეს. დარწმუნებული ვარ, ასეთ წინააღმდეგობას კვლავაც წავაწყდები იმ გზაზე, რომლის გავლაც მაკისრია, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, არ ვნანობ. ჩემი შრომა და მონდომება უშედეგოდ არ ჩაივლის. დარწმუნებული ვარ, ოზურგეთელებს გვაქვს უზარმაზარი პოტენცია, რომ ჩვენს ქალაქს დავუბრუნოთ ის ლაზათი, რომელიც არც თუ ისე შორეულ წარსულში ჰქონდა.

— და ბოლოს, ბატონო ბეგლარ, ვიცით რომ 18 იანვარს იუბილარი ხართ, თანაც როგორი იუბილარი, 50 წლის ხდებით. გულითადად გილოცავთ, საუკეთესო სურვილებით! როგორ და სად ხვდება ქალაქის მერი თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს?

— ვიღებ მილოცვას, მადლობთ. თქვენც წარმატებებს გისურვებთ.

ორმოცდაათი წელი მართლაც საიუბილეოა. რა თქმა უნდა, აღვნიშნავ ჩემს უახლოეს ადამიანებთან ერთად და ვხვდები ბევრად მეტი პასუხისმგებლობით და ვალდებულებით, ვიდრე აქამდე რომელიმე ჩემს დაბადების დღეს შევხვედრივარ.

ესაუბრა

თემურ მარშანიშვილი

გამგეობის 6 თვის ანგარიში და მომავლის სტრატეგია

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 6 თვის ანგარიში და მომავლის სტრატეგია დაინტერესებულ საზოგადოებას ურეკის კულტურის სახლში გააცნო.

როგორც გამგებელმა, ბატონმა მერაბ ჭანუყვაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შემუშავდა სტრატეგიული განვითარების სამწლიანი გეგმა, რომელშიც აქცენტი სწორედ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კეთდება.

ექვსი სამუშაო თვის განმავლობაში გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ შესრულდა გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 28 თემში 1 347 000 ლარის სამუშაოები განხორციელდა. ოთხ სოფელში რთულ მონაკვეთებზე მოეწყო 1 440 გრძივი მეტრი რკინაბეტონის გზა, ასევე მოეწყო საყანე ფართობებთან მისასვლელი 60 ათასი ლარის ღირებულების ხრეშოვანი გზები.

მიმდინარეობს მერია-კონჭკათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის გზის მშენებლობა და ოზურგეთი-მელექედური-დვაბზუს დამაკავშირებელი გზის აღდგენითი სამუშაოები...

სოფელ ბახვში მდინარე დურღანაზე დასრულდა ხიდის მშენებლობა, ასევე სოფელ თხინვალისა და ნატანების, დაბა ლაითურისა და ოჩხამურის დამაკავშირებელი ხიდების რეაბილიტაცია.

ასკანაში მოეწყო წყალმომარაგების სისტემა. ასკანის წყლის საფილტრე საქლორატორო სადგური უნიკალურია და სამი მაღალმთიანი სოფლის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემას მოხსნის...

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი ოჯახების პირობების გაუმჯობესება.

24 შეჭირვებულ ოჯახს გადაეცა 30 000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები.

2014 წლის გაზაფხულზე მომხდარი სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 1293 დაზარალებულ ოჯახს 26 300 კვადრატული მეტრის თუნუქის სახურავი გადაეცა.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის ინტენსიური მუშაობის შედეგად მომხდარი სტიქიის შემდეგ, სოფელ შემოქმედისა და ნატანების გზის ჩანგრეული მონაკვეთების სრულფასოვნად აღდგენა რამდენიმე დღეში მოხერხდა...

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ტურიზმის განვითარება დაისახა, კერძოდ, გომისმთისა და ურეკის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

2014 წლის აგვისტოში გომისმთაზე აშენდა აგარაკები და ჭინჭაოს ტბამდე მისასვლელი 11-კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთი. გზა გაყვანილ იქნა აგრეთვე სამომთაბარეო ფერმებამდე.

2015 წელს დაგეგმილია კურორტის ტერიტორიაზე 7-კილომეტრიანი წყალსადენის მშენებლობა. დაწყებულია მუშაობა კურორტის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე. პერსპექტივაში გათვალისწინებულია კურორტის ელექტროენერგიით მომარაგებაზე ზრუნვა. მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა გომისმთის ზამთრის კურორტად ჩამოყალიბების მიზნით.

სამკურნალო თვისებების მქონე მაგნიტური ქვიშებით მდიდარი კურორტ ურეკის პოპულარიზაციის მიზნით, ტურიზმის დეპარტამენტის მხარდაჭერით, მიმდინარეობს შეკვეთილი-ურეკი-მაგნეტიტის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე მუშაობა. ბიუჯეტიდან გამოიყო 420 ათასი ლარი დასუფთავების ახალი მანქანებისა და პლაჟის ტექნიკის შესაძენად.

დაბა ურეკის განვითარების სამწლიანი სტრატეგიის მიხედვით, იგეგმება საკანალიზაციო-გამწმენდი ნაგებობის, წყალმომარაგების სისტემის, სანიაღვრე არხების მშენებლობა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი „აზიაბანკის“ დაფინანსებით განახორციელებს.

გასულ წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, რამაც, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაუმჯობესა ფერმერების ეკონომიკური მდგომარეობა. დაიწყო ჩაის კულტურის რეაბილიტაცია, მეჩაიეობა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში წამყვან ადგილს დაიკავებს.

შეხვედრაზე შედგა ამ მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია. დამსწრეთ დაურიგდათ შესაბამისი ბროშურები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 6 თვის ანგარიშისა და მომავლის სტრატეგიის სრულყოფილი ვერსიის ნახვა მკითხველს მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებგვერდზე შეუძლია.

შშმ პირი სვანური მარილის გაყიდვისთვის დააჯარიმეს

ალიონი. რედაქციაში ხშირად მოდიან მოქალაქეები, რომლებსაც სხვადასხვა პრობლემები აწუხებთ ან უსამართლო ქმედებების მსხვერპლად თვლიან თავს.

ახალი წლის მომდევნო დღეებში „ალიონის“ რედქაციაში საშუალო ასაკის ქალბატონი მ.ნ. მოვიდა და მისი გულისტკივილი გვითხრა:

„–მაღალი ხარისხის მიოკია მაწუხებს. მინუს თორმეტ სათვალეს ვიყენებ. უმაღლესი განათლება მაქვს, მაგრამ, როგორც ბევრი ჩემი თანამემამულე, მე და ჩემი მეუღლე უმუშევრები ვართ. ოზურგეთელი ვარ, მაგრამ უმეტესად თბილისში ვცხოვრობთ და ძლივს გაგვაქვს თავი.

საახალწლოდ მშობლიურ ქალაქში ჩამოვედი. ვნახე, რომ ქ. ოზურგეთის ცენტრში, ძველი ბაზრის წინ, ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ქუჩა იყო გადაკეტილი და საახალწლო ბაზრობა იმართებოდა. გადავწყვიტე, სხვადასხვა სახის სუნელი და სვანური მარილი გამეყიდა. ხელის ხორცსაკეპ მანქანაში სუნელები და მარილი გავატარე, „სვანური მარილი“ შევამზადე და ბაზრობაზე წავედი. ნამდვილად არ ვიცოდი, ხორსაკეპ მანქანაში გატარებული ნაზავი, ქარხნული წესით დამზადებულ ნაწარმად თუ ჩაითვლებოდა.

როგორც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, იგივე სცენარით წარიმართა ჩემი დაჯარიმების პროცესი. ჩემთან ორი ახალგაზრდა (ე. ლომაია, დ. მზარელუა-რედ.)მოვიდნენ და ორი ჭიქა სვანური მარილი იყიდეს. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ და სახელი და გვარი მკითხეს, რა თქმა უნდა ვუთხარი. სალარო აპარატი რატომ არ გაქვსო .....

კი მივხვდი, ესენი რაღაცას მიპირებდნენ, მაგრამ ვიფიქრე, თუკი რაღაც დავარღვიე, გამფრთხილებენ-მეთქი.

6 იანვარს, შემოსავლების სამსახურის ოზურგეთის სერვისცენტრში საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი გადმომცეს და გავიგე 200 ლარით ვიყავი დაჯარიმებული.

ასე დამთავრდა ჩემი წინასაახალწლო ვაჭრობა.

მაქვს კითხვა: – თუ რაიმე დავარღვიე, ხომ შეიძლებოდა გავეფრთხილებინე ფოთის საგადასახადოს ინსპექტორებს. ან რა შვებას მისცემს ბიუჯეტს ჩემნაირი სოციალურად დაუცველი ადამიანისაგან ასეთი გზით მიღებული თანხა. ვფიქრობდი, ახალ წელს და შობას ადამიანურად შევხვდებოდი, მაგრამ ახალი თავსატეხი გამიჩნდა:– როგორ ვიშოვო ჯარიმის გადასახდელი თანხა...“

ჩვენს კითხვაზე, რითი შეგვეძლო დახმარება, გვიპასუხა:

–სხვები გაფრთხილდნენ. სვანური მარილის გაყიდვაც შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს.

ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ფეხბურთელთა გასახდელის, ტრიბუნის სკამების, გასასვლელი გვირაბისა და სველი წერტილების გარემონტება სტადიონის ადმინისტრაციამ სარეკლამო სერვისის საშუალებით შემოსული თანხებით შესძლო.

სტადიონი ქალაქის მერმა, ბეგი სიორიძემ და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, გელა კობალაძემ მოინახულეს. “ მამუკა გოგუაძე სამი თვეა, რაც სტადიონის დირექტორის პოსტზე დაინიშნა, თუმცა უკვე თვალსაჩინო შედეგი აჩვენა. არცერთი თეორი ქალაქის ბიუჯეტიდან აღნიშნული რეაბილიტაციისთვის არ დახარჯულა. ის, რასაც ვხედავთ, სტადიონის ხელმძღვანელობამ თანხების სწორი და ოპტიმალური ხარჯვით შესძლო. სასიამოვნო მოსასმენია მატჩის კომისრის შეფასებაც, რომელმაც აღნიშნა, რომ სტადიონის ინფრასტრუქტურის განვითარება დადებითად აისახა საფეხბურთო მატჩების ტექნიკურ მომზადებაზე. მან პირველი ლიგის გუნდებს შორის ოზურგეთის სტადიონი სანიმუშო მომსახურების მქონედ შეაფასა. სწორედ ამიტომ მივიღე მამუკა გოგუძის დანიშვნის გადაწყვეტილება, რადგან დარწმუნებული ვარ, იგი სამომავლოდ მეტ შედეგს აჩვენებს ” - განაცხადა ბეგი სიორიძემ.

აღნიშნული სამუშაოებისთვის სულ 12 000 ლარამდე დაიხარჯა. სტადიონის რეაბილიტაცია ეტაპობრივად ისევ გაგრძელდება.

ქალაქის მერი გუნდში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ფეხბურთელებსაც ესაუბრა. უახლოეს მომავალში “შერცხალს” ახალი მწვრთნელი ეყოლება.

ქ. ოზურგეთის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაცია

გაკუჭებული მოხუცი გურულების მახვილსიტყვაობა

კაციც მოაყოლე აუცილებლად

მოხუც გურულ ცოლ-ქმარს მორიგი კამათი ჩხუბში რომ გადაეზარდათ, გაღიზიანებულმა ქმარმა დაუყვირა:

— გაგეყრები, შე უკუღმართო და სხვა ქალს მევიყვან ცოლად!!!

— კაი ბატონო, მასე იყოს, მარა სხვა ქალს თუ მეიყვან, კაციც მოაყოლე აუცილებლად! — უპასუხა ცოლმა.

დაფშნილი კაჟი და დაობებული პურის ფუნჩხა

— რავა ხარ, ბიჯო, გაბილავ? — ჰკითხა ბებერ გურულს ბებერმა მეგობარმა.

— კაჟივით ვარ, ძამა, მარა დაფშნილი კაჟივით! შენ რავა ხარ?

— მე კიდომ უმფრო უარესად: დაობებული პურის ფუნჩხასავით!

უშედავათო სიტუაცია

ცოლის ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, მოხუცმა გურულმა სიგარეტის მოწევას თავი დაანება. რამდენიმე თვეში ისე გამოჯანმრთელდა, რომ ჭამის მადაზეც მოვიდა და წონაშიც მოიმატა.

— კოწია, დეიწყე, ბიჯო, ისევლე მოწევა, — უთხრა ცოლმა.

— რეიზა, ქალო! შენ არ მეხვეწებოდი ამდენი ხანი, სიგარეტი აღარ მომეწია? — გაუკვირდა ქმარს.

— კი გეხვეწებოდი და რომ დეეთხუე, ძალიან გამიხარდა, მარა ისე გაგეზარდა მადა და იმდენს ჭამ, გულზე შემომეყარა. სად გვაქ, ბიჯო, ჩვენ ახლა ამდენი საკვების საყიდელი ფული?! — აუხსნა ცოლმა.

— შე აბდალა, სიგარეტიც ხომ ძალიან გაძვირდა. ისევლე რომ დევიწყო მოწევა, შენ გგონია ამით რაიმე შეღავათს მივიღებთ? — ირონიულად უპასუხა და მიესიყვარულა ცოლს კოწია.

სადაც მიცვალებული ასვენია, იქინე კარები ღია

დილით ეზოში სამუშაოდ გამოსულ ბებერ გაბილას შარვლის ღილების შებნევა დავიწყებოდა. ცოლმა შენიშვნა მისცა:

— შეიბნიე, კაძახო, ფოლაქები. ვინმე ეზოში რომ შემოვიდეს და ასე დაგინახოს, უხერხული არ იქნება?!

— რა იქნება, ქალო, უხერხული, - გაიკვირვა გაბილამ, — სადაც მიცვალებული ასვენია, იქინე კარები ღია რომ უნდა იყოს, არ იცი შენ?!

როლანდ თავაძე

გილოცავთ კალანდასა და ნათლისღებას!

ბესიკ ლომინაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი

დავით ჯანუყვაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი

ტარიელ ანთაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი

ფოლკლორის ცენტრი და სალოტბარო სტუდია ოფიციალურად გაიხსნა

ალიონი. გასულ პარასკევს, ქ ოზურგეთში, თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრში ფოლკლორის ცენტრი და სალოტბარო სტუდია ოფიციალურად გაიხსნა.

გახსნის ცერემონიალში, ადგილობრივი ხელისუფლების გარდა, მონაწილეობდნენ: საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი და ფოლკლორისტი ეთერ თათარაიძე.

ფოლკლორის ცენტრს ავთანდილ სურგულაძე ხელმძღვანელობს.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა კონცერტი გამართეს.

ქვემო ნატანებში სოფლის სახლი აშენდება

ალიონი. სოფ. ნატანები იმ სოფლების ჩამონათვალში მოხვდა, სადაც მთავრობა სოფლის სახლს—საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობას გეგმავს, სადაც იგივე სერვისი იქნება, როგორიც ისუტიციის სახლებს გააჩნია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, ასეთ სახლებში სოფლის მოსახლეობას შეუძლია მიიღოს ზუსტად ის სერვისი, რასაც ქალაქის მოსახლეობა იუსტიციის სახლებში ღებულობს.

ფირალი სისონა დარჩია

ენვერ გოგუაძე

დასაწყისი იხ. ალიონი №47-52 2014 წ., №1-2, 2015 წ.

მარტო დარჩიასთან ურთიერთობაში შემჩნეულ და დაპატიმრებულ პირთა რაოდენობამ 160-ს გადააჭარბა. იჭერდნენ, კატორღასა და ციმბირს პირდებოდნენ ყველას. დარჩია კი მაინც უვნებელი დააბიჯებდა სამზეოზე. „ცოცხალს ციხეში ვერ მიმიყვანებენ და მკვდარს რაც უნდა ის მიყონო“.

1890 წლის 29 ივნისს დაუგეს სისონას მახე სუფსის პირზე. მაზრის უფროსთან „დანოსის" მიმტანი კარის ყურის მეზობელი ანთაძე ყოფილა. „საღამო ხანს სუფსის ბოგაზე, გეიარს მარტუა ფირალი დარჩიაო“, - უჩურჩულა ანთაძემ ჯაფარიძეს. 30 სტრაჟნიკი იახლეს და სუფსის ბოგასთან ჩაუსაფრეს. მაზრის უფროსს ბოქაულიც იახლა: „სკვარამი“ ღამე იდგა. თითით თვალს ვერ მონახავდა კაცი. ფრთხილად შემოაბიჯა ბოგის ფიცარზე სისონამ. ყაბალახმობურვილს მარტო თვალები მოუჩანდა. „ფალასკებგადარტყმულს“ ბერდენა „ფეხზე“ ჰქონდა შეყენებული. ნაბადმოხურული იყო. ამ ნაბადს თავიდან არ იშორებდა. ნამდვილ ძმადნაფიცად თვლიდა. ყურშუმის ტყვია ნახევრამდე ვერ ატანდა მოთელილ თექაში. „ფეხზე გააჩერებდი, კაცივით დადგომა შეეძლო“. ნაზამთრი კაპუეტივით გამჭოლი თვალებით მზირალმა ფირალმა უჩვეულო სიმყრალის სუნი იგრძნო, სტრაჟების სილუეტები მისმა ქორულმა მზერამ თანდათანობით გამოკვეთა ბნელში. სტრაჟნიკებს მოთმინებამ უღალატა. „სამსხვერპლო ზვარაკის“ მოახლოებამ სისხლის წყურვილი გაუღვიძაო. სისონამ ნაბადი შეაყენა სუფსის ბოგის სახელურზე ერთ მხარეს, ხელი ჰკრა და გადააგდო, თვითონ მეორე მხარეს გაფრინდა ქორივით და ბოგის ქვეშ ჩასაფრებულ პრისტავს ბერდენის ჭექით გადაევლო თავზე. საფარში მსხდომარეთ უპირველესი ცეცხლი ნაბადს გაუხსნეს. სტრაჟნიკები ნაბადს ესროდნენ, სისონა სტრაჟნიკებს. ყველაფერი ფიქრის უსწრაფესად მოხდა. ექვსი საჟენის სიმაღლიდან გადახტა. „ამის მერე“ ამ უკუნეთში მისი მნახველი ვინღა იქნებოდა. იმდროინდელი პრესა ფართოდ აშუქებდა სისონას ამ მორიგ საბრძოლო შემართებას სტრაჟნიკებთან და ყაზახ-რუსებთან. „გადარჩენილი ყაჩაღი დარჩია, – იუწყებოდა გაზ. „ივერია“, – 29 ივნისს კიდევ ერთხელ გასხლტომია ხელიდან პოლიციას. ბოქაულს შეატყობინეს თურმე, რომ შუაღამისას დარჩია სუფსის ხიდზე გაივლისო ... 29 ივნისს კიდევ ჩაუსაფრდნენ სუფსის ხიდზე. ერთ მხარეს იყო მაზრის უფროსი, მეორე მხარეზედ ბოქაული. ღამის 10 საათზედ, როცა დარჩიამ ფეხი შემოდგა ხიდზე, აქეთ-იქითგან ყარაულები წამოიშალნენ და თოფები ისროლეს. დარჩიამ შესჭყივლა, ვინა ხართო, მაგრამ გაიგონა თუ არა ბოქაულის ხმა, დაგვნებდითო, მაშინვე გაჩუმდა და მიიმალა. ყარაულებმა ძებნა დაუწყეს. აქ სადმე იქნება ჩაკუნჭულიო, რადგან არავის ეგონა, თუ 6 საჟენის სიმაღლიდან გაბედავდა გადმოხტომას, ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად მოიხელთეს. „ექვსი საჟენის სიმაღლიდან“ სუფსის ხიდიდან სისონა დარჩიას პანტერასავით გადავლება და პრისტავისათვის „უბოდიშოდ“ თავზე გადახტომა საგანგებო ასახვას პოულობს „გურულ ფოლკლორში“. მასზე საგანგებო სიმღერებია შექმნილი, მასზე სადიდებელს „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“: მინდა, რომ ლექსი გამოვთქვა

> ყმაწვილი კაცის ნდობაზე,
> ერთი მიხელა ანთაძე,
> ქე ვარგა ღალატობაზე,
> ოცდათორმეტი სტრაჟნიკი
> მან დამახვედრა ბოგაზე,
> დამაყარეს ზალპა თოფი,
> უკამანდრეს ერთად ხმაზე,
> ავიწიე და გადავხტი
> ბოგირიდან სუფსის წყალზე.
> ერთი-ორი გავისროლე
> დადეშქელიანის ხმაზე,
> იმფერ დროზე შემიძახეს,
> ფეხიც არ მედგა მიწაზე.
> ყურშუმს სიდან მუარტყამდი,
> აფარული იყვნენ შპალზე,
> დამენახა, კი მოვკლიდი,
> თავს არ ვიქეფ მაგაზე,
> უკაცრავად იმაში ვარ,
> პრისტავს გადავხტი თავზე“.

ბოქაული, მაზრის უფროსი, სოფლის მამასახლისი, ასობით „შპიონი“ და “მთავრობის ჯილდოზე“ დახარბებული ყველანი სისონას დაეძებდნენ. ცალკე მისი შიში ჰქონდათ და ცალკე „ვერცხლის მოსახვეჭად“ იღვწოდნენ.

ყველაზე ცუდი დღე მაინც სოფლის მამასახლისებს ადგათ. სისონა ხალხში იმალებოდა და ადგილზე „ხალხის უფროსად“ ამ პერიოდში - „სისონას ფირალობის“ ჟამს უნდა იყოს შეთხზული გურული ფოლკლორისათვის ერთობ ნიშანდობლივი „მამასახლისთა საგოდებელი“:

> „მამასახლისად დავდექი,
> არ დარჩა გამოსადექი,
> ვინც რომ ამ დღეში ჩამაგდე,
> რომ დაწვე, აღარ ადექი“.

დაბა ლანჩხუთში, სოფელ ორაგვეში, ღარიბი გლეხის ბურძგლას ოჯახში ითევდა ღამეს სისონა. ვახშამს შეექცეოდა, ყოველი ლუკმის გადაყლაპვაზე სმენად იძაბებოდა. მოახლოებულ სიავეს გრძნობდა. ღალატის კონტურები მკაფიოდ იყო მოხაზული. მოღალატე კუნჭულია იყო. მთავრობის ქრთამი ჰქონდა აღებული. ავაზაკ დარჩიას შეპყრობაში ერთ იმდენს კიდევ ელოდა. ბოქაული ჯაფარიძე „სტრაჟნიკებით“ შემოეწყო სახლს. გასაქცევი და წასასვლელი არსად იყო. სახლსაც და მყოფსაც ნაფლეთებად აქცევდნენ. სისონას აქაც ჭკუა ეხმარა. თადარიგი ადრიდანვე დაეჭირა. „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“ და სამზადი სახლის ფიცრები აეყარა, მომცრო ზომის გვირაბი გაეთხარა, რაშიც განსვენებულ ვასილასაგან იყო დახელოვნებული. „ბოლოში გამძვრალიყო“ და ისე გასულიყო სამშვიდობოს. ფირალად ნამყოფი ვლადიმერ ჟღენტი გადმოგვცემს: „ლანჩხუთში პრისტავმა ჯაფარიძემ დიეცა სისონას. სისონა მარტო იყო. ... მერე სისონამ ასთე მითხრა, „პოლში ჩავძვერი და გევედი, სტრაჟნიკებისაკენ ზურგი ვქენი, არ გეიგონ-მეთქინ. სტრაჟნიკები სროლილობდნენ ტყვიას სახლზე და ყვიროდენ: სა გაგვექცევა მაი კაძახი, არსა არ შეუძლია გასვლაო. გუუარე სტრაჟებს გვერჩი და დუუძახე, არიქა ბიჭებო, სცემეთ და სცემეთ, ვერსა ვერ გაიქცევა-მეთქინ. იგენს ამხანაგი აიმედებდა ეგონენ და მე ამასობაში ქე გევიქეცი“.

სოფელ ჩიბათში იმალებოდა სისონა. მფარველად ღარიბი გლეხი ყავდა. აზნაური მიხელა ანთაძე კვალდაკვალ დასდევდა იმხანად გურიის უპირველეს ფირალს. ჯაფარიძე თავისი ნაქები სტრაჟნიკებით ჩიბათში ჩავიდა. სახლს, სადაც სისონა იმყოფებოდა, ალყა დაარტყეს. მდგომარეობა გამოუვალი შეიქმნა. მიხელა ანთაძე ახლა მართლა დაუახლოვდა ჩინს. გამოუვალი მდგომარეობიდან მონახა სისონამ გამოსავალი. სამზადი სახლიდან ბოსელში გავიდა. „ხორცით ტყავგაფუებული“ ნასუქი დეკეული გამოათრია.სამზადის სახლის კარები შეაღო ხბოს თავისი განუყრელი თანამგზავრი ნაბადი წამოახურა და ალესილი ყამა მუცელში ამოკრა. დაჭრილი და ნაბად წამოხურული საქონელი გადარეული გავარდა გარეთ. ოთხზე მორბენალ სისონას სტრაჟებმა ტყვიები აწვიმეს და წაქცეულს ნაბადი გადახადეს. ნირი და საქციელი წაუხდათ, სისონას ნაცვლად, დეკეული რომ შერჩათ ხელში. ისევ სამშვიდობოს განივლტო ფირალი დარჩია. ტყვია და სტრაჟები ბოქაული და მაზრის უფროსი, ჯაშუშები და მოღალატენი ვერაფერს აკლებდნენ, მაგრამ დღონაურის ღვთისმშობლის ეკლესიაზე 1886 წლის კალანდას განსახიერებულმა სისხლის ღვრამ და იქ ჩადენილმა ცოდვებმა სხვა მხრიდან წამოაყარა მას.

(გაგრძელება იქნება)

ბაზრისა და პოლიტიკის ნორმალური ფუნქციონირების რღვევამ 2015 წლის პირველ კვარტალში შესაძლოა, პიკს მიაღწიოს, გვაფრთხილებს საქსო ბანკი

SAXO BANK
THE SPECIALIST IN TRADING AND INVESTMENT

2015 წლის დასაწყისში მსოფლიოს თანმიმდევრული განვითარება, როგორც ეკონომიკური, ისე მონეტარული პოლიტიკის თვალსაზრისით, მკვეთრად დარღვეულია და მსოფლიო იმყოფება გეოპოლიტიკური რისკების უპრეცედენტო ნაზავის წინაშე. მოსალოდნელია, რომ უკვე 2015 წლის 1-ლ კვარტალში ბაზრების დისბალანსმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწიოს.

საქსო ბანკმა, მულტი აქტივებით მოვაჭრე და საინვესტიციო ინტერნეტ დაწესებულებამ, გამოაქვეყნა 2015 წლის კვარტალური გლობალური საბაზრო პროგნოზი და საკუთარი ძირითადი კომერციული ამოცანები.

საქსო ბანკის უახლესი პროგნოზის მიხედვით, გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებების სისტემა ისე ასინქრონულად მუშაობს, როგორც არასდროს, ჩვენ კი ვდგავართ წინაშე მთავარი გეოპოლიტიკური რისკებისა, რომლებიც შესაძლოა, უფრო გაღრმავდეს ნავთობის ფასის 60 დოლარის ქვემოთ დაწევის პირობებში. ინფლაციის დონე მრავალი ათწლეულის მაჩვენებლის ქვედა ზღვარზე ნარჩუნდება მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობის მონეტარული პოლიტიკა უაღრესად ლიბერალურია, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისა - მკაცრი, თუმცა აშშ ფედერალური სარეზერვო ბანკი ერთადერთი განვითარებული ქვეყნის ცენტრალური ბანკია, რომელიც გეგმავს გამკაცრებული პოლიტიკის ციკლზე გადასვლას ძალიან მალე - ალბათ წლის შუა პერიოდიდან. მანამდე კი საკრედიტო სპრედებით ვაჭრობა საგარიმო განაკვეთების ზღვარს ქვემოთ მიმდინარეობს, ხოლო საპროცენტო შემოსავლები და კურსის მერყეობა ისტორიულ ქვედა ზღვრებთანაა მიახლოებული.

2015 წელს გლობალური ეკონომიკის დასაბალანსებლად საჭირო იქნება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელების წინააღმდეგ ზომების მიღება, დეფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა და მშპ-სთან მიმართებაში სახელმწიფო ვალის შემცირება. საქსო ბანკის მთავარი ეკონომისტი სტინ იაკობსენი აღნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში „2015 წელს სიტუაციის დასარეგულირებლად, სულ მცირე, სამი რამაა საჭირირო, ესაა დოლარის კურსის დაწევა, სტაბილური და ოდნავ მაღალი ფასები ენერგომატარებლებზე და სტაბილური საპროცენტო განაკვეთები“. თუმცაღა, დონე არასტაბილურობისა, რომელიც წარმოშვა 2014 წელს განვითარებულმა და ამჟამადაც მიმდინარე პროცესებმა, მაქსიმალურად გამოვლინდება მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში, რამდენადაც ევროპის ცენტრალური ბანკის რისკების მართვის სამსახური იღებს საშინელ გადაწყვეტილებას საკუთარი ვაგონის სავალუტო სტიმულირების პროგრამის მატარებლის შემადგენლობაში მიერთების თაობაზე.

2015 წელს სავალუტო ბაზრებზე მოსალოდნელია მნიშვნელოვანი რყევები. მართალია, სავარაუდოდ, აშშ დოლარის გამყარების ტენდენცია შეიცვლება შესუსტებისკენ, მაგრამ საქსო ბანკი მიიჩნევს, რომ წლის პირველ კვარტალში მწვანე კუპიურა კვლავ განაგრძობს გამყარებას სავალუტო ომების ფონზე, რაც განსაკუთრებით შეინიშნება აზიის ქვეყნებში. 2015 წლის 1-ლ კვარტალში სავალუტო ბაზრისთვის საქსო ბანკის მთავარი რეკომენდაციაა აშშ დოლარი/შვეიცარიული ფრანკი კომბინაციაში გრძელი პოზიციის დაკავება, რათა ბაზრის მონაწილენი მომზადებული დახვდნენ შვეიცარიის ეროვნული ბანკის შესაძლო

სადამსჯელო უარყოფით განაკვეთებს მარტში. ჩვენ, ასევე, ვაკვირდებით ჩინური იუანით ვაჭრობას აშშ დოლართან მიმართებაში და, საბოლოო ჯამში, იაპონურ იენთან მიმართებაში, რათა მდგრადი პოზიცია იქნას დაკავებული ჩინური ვალუტის შესაძლო დევალვაციის მომენტისთვის, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს ჩინეთის მიერ დეფლაციის ექსპორტი დანარჩენ მსოფლიოში.

საქსო ბანკის პროგნოზით გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპი 2015 წელს იქნება 3%, შედარებით 2014 წლის 2.2%-ისა, რასაც განაპირობებს დაბალი ფასები ენერგომატარებლებზე, განვითარებული ქვეყნების მიერ ნაკლებად მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და ვაჭრობის ზრდის ტემპი, 2015 წელს გეოპოლიტიკური დაძაბულობის საფუძველზე წარმოშობილი გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელების რისკის ფონზე. უფრო კონკრეტულად:

• აშშ-ს ეკონომიკა განაგრძობს დინამიურ ზრდას, სამომხმარებლო აქტივობისა და ენერგომატარებლებზე დაბალი ფასების გათვალისწინებით. საქსო ბანკის პროგნოზით 2015 წელს აშშ-ს ეკონომიკური ზრდის ტემპი იქნება 3%.

• სტრუქტურული რეფორმების არასისტემურად მიმდინარეობის ფონზე, მაშინ როცა კერძო სექტორი განაგრძობს ვალდებულებების შემცირების პოლიტიკის გატარებას, რითაც აკავებს როგორც ეკონომიკური ზრდის ტემპს, ასევე ინფლაციის დონეს, პროგნოზი ევროპის ქვეყნებისთვის კლავ საკამათო საკითხად რჩება. საქსო ბანკის პროგნოზით ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემბი 2015 წელს იქნება 1%.

• გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკური ზრდა 2015 წელს 2.2%-ზე დაფიქსირდება, რასაც განაპირობებს კერძო სექტორის დინამიური ზრდა და მთავრობის მხრიდან მხარდაჭერის პოლიტიკის გატარება, თუმცა ქვეყნის ერთი მთავარი პრობლემა იქნება საცხოვრებელი ბინების მშენებლობის სექტორში ზრდის ტემპის მნიშვნელოვანი ვარდნა.

საქსო ბანკი სკეპტიკურად უყურებს ჩინეთის ცენტრალური ბანკის მიერ, პოლიტიკის შერბილების გზით ეკონომიკური ზრდის ტემპის ვარდნის შეჩერების მიზნით, მიღებული ზომების ზეგავლენას რეალურ ეკონომიკაზე. ბანკი მიიჩნევს, რომ 2015 წელს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი დაფიქსირდება საყოველთაოდ აღიარებული პროგნოზის 6.7% ქვემოთ.

მიუხედავად ევროპის ქვეყნებში 2015 წელს ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი ტემპისა, საქსო ბანკი თვლის, რომ „ქლაბ მედი“ და აღმოსავლეთ ევროპის წევრი ქვეყნები 2015 წელს იქნებიან ეკონომიკური ზრდის მოწინავეთა რიგებში, რამდენადაც პერიოდი, როდესაც სარგებლიანობის თვალსაზრისით გერმანია იყო საუკეთესო არჩევანი, დასასრულს უახლოვდება, ხოლო პარალელურად იაფი მუშახელი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა ხდება პერიფერიებში. „საბოლოო შედეგი კი ისაა, რომ ევროპის ეკონომიკა ბოლოსდაბოლოს გარდაიქმნება ისეთად, რომელსაც ამოძრავებს მცირე, ნოვატორული და ენერგიული კომპანიები. ეს ბრწყინვალე სიახლეა ევროპის მომავლისთვის“. აცხადებს იაკობსენი.

სავალუტო ბაზარი

საქსო ბანკის პროგნოზით, წლის 1-ლ კვარტალში მოსალოდნელია აშშ დოლარის შემდგომი გამყარება, თუმცა, ამავდროულად, ბანკი აფრთხილებს დაინტერესებულ მხარეებს იმის თაობაზე, რომ კურსის დინამიკა არასტაბილური იქნება, რამდენადაც ნასესხები კაპიტალის მქონე მოვაჭრეებს უკვე საკმაოდ გრძელი პოზიცია უკავიათ აშშ დოლართან მიმართებაში და, ამ კუთხით, მომზადებული არიან

მნიშვნელოვანი რისკებისთვის, თუკი წელი გაიწელება აქტივების ბაზარზე დესტაბილიზაციის გამო, ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ დაგეგმილი ლიკვიდურობის შემცირების ფონზე. საგარეო ფრონტზე, ჩინეთსა და იაპონიას შორის იაპონიის რადიკალური მონეტარული პოლიტიკის გამო წარმოშობილმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა დაძაბულობამ და იაპონური იენის შესუსტებამ შესაძლოა, ბიძგი მისცეს ახალ აზიურ სავალუტო ომს.

აქციები

საქსო ბანკის პროგნოზით ესპანური საფონდო აქციები 2015 წლის 1-ლ კვარტალში დომინირებულ პოზიციას დაიკავებს აქციების მსოფლიო ბაზარზე, რასაც ხელს შეუწყობს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ გარდაუვალი შერბილების პოლიტიკის გატარება, ინფლაციის დაბალი დონისა და ეკონომიკური ზრდის ნელი ტემპის ფონზე. მეორეს მხრივ, ჩინეთის სააქციო ბაზარი კვლავ მეტისმეტად გააქტიურებულია და მოითხოვს დარეგულირებას, ამავდროულად, ნავთობსა და ენერგომატარებლებზე ფასების სწრაფი ვარდნა რუსულ აქციებსაც დიდი ხნით ჩრდილში აქცევს.

საბირჟო საქონელი

მიწოდების ზრდა, დაბალი მოთხოვნის, ეკონომიკური ზრდის ტემპისა და მყარი დოლარის პირობებში, ძირითადი საბირჟო საქონლის მასას წნეხის ქვეშ მოაქცევს 2015 წლის დასაწყისში და, სავარაუდოდ, პირველი ნახევარი წლის განმავლობაში აღნიშნული საქონლის ფასები მინიმალური იქნება. ნავთობის ბაზარზე, სასკოს პროგნოზით, „ბრენტის“ 1 ბარელი ნედლი ნავთობის ფასი პირველ კვარტალში იქნება 62 აშშ დოლარი. მყარი დოლარი კვლავ მთავარი რისკია ძვირფასი ლითონებისთვის მაშინ, როცა აშშ-ს მაღალი საპროცენტო განაკვეთები უკვე ასახულია ფასებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ კვარტალში ოქროს ფასი, სავარაუდოდ, ქვედა ნიშნულზე დაფიქსირდება.

თუ გსურთ, იხილოთ საქსო ბანკის ანალიტიკოსების მიერ მომზადებული კომერციული პროგნოზების სრული ჩამონათვალი, გადადით შემდეგ ბმულზე: ჰტტპ://ცყ.სახობანკ.ცომ/ლპ/ცპ/ოუტლოოკ-ქ1-2015

საკონტაქტო ინფორმაცია

კასპერ ელბიორნი, საერთაშორისო კავშირების სამსახურის უფროსი

+45 3065 4300

press@saxobank.com

ინფორმაცია საქსო ბანკის შესახებ

საქსო ბანკი არის მულტიაქტივებით მოვაჭრე (ონლინე მულტიასსეტ ტრადინგ) და საინვესტიციო ინტერნეტ დაწესებულება, რომელიც კერძო ინვესტორებსა და ინსტიტუციონალურ კლიენტებს სთავაზობს ინსტრუმენტების სრულ ნაკრებს სავაჭრო და საინვესტიციო სტრატეგიების განსახორციელებლად. მისი ფინანსურ-საზოგადოებრივი პორტალი **TradingFloor.com** არის მულტიაქტივებით ვაჭრობის პირველი სოციალური პორტალი. არის რა დანიის ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს მეთვალყურეობის ქვეშ მოქმედი სრულყოფილად ლიცენზირებული ევროპული ბანკი, საქსო ბანკი საშუალებას აძლევს კლიენტებს, განახორციელონ ოპერაციები სავალუტო **(FX)**, სხვაობის კონტრაქტების (**CFD**), ბირჟაზე მოძრავი ფონდების (**ETF**), აქციების, ფიუჩერსების, ოპციებისა და სხვა დერივატივების ბაზარზე, ჩვენი

საყოველთაოდ აღიარებული საქსო ტრეიდერ პლატფორმის გამოყენებით. პლატფორმა ხელმისაწვდომია პერსონალური კომპიუტერებით **PCs,** პლანშეტებით ტაბლეტს ან სმარტფონებით **smartphones** 20-ზე მეტ ენაზე, ერთი ანგარიშით. ჩვენს პლატფორმას საკუთარი მომსახურების შეთავაზების მიზნით იყენებს მსოფლიოს 100-ზე მეტი მთავარი ფინანსური დაწესებულება. გარდა ამისა, საქსო ბანკი გთავაზობთ პორტფელებისა და ფონდების პროფესიონალურ მართვასა და, ასევე - ტრადიციულ საბანკო მომსახურებას საქსო პრივატბანკის მეშვეობით. საქსო ბანკი დაარსდა 1992 წელს, მისი შტაბბინა მდებარეობს კოპენჰაგენში, ფილიალები გახსნილი აქვს ევროპის, აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის 26 ქვეყანაში, მათ შორის - ავსტრალიაში.

ზნეობრივი ნორმების ფარდობითობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“

ეს საკითხი რუსთველის ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ადასტურებს: საზოგადოებაში არსებული ყველა ზნეობრივი ნორმა ფარდობითია და არა აბსოლუტური, რადგან ზნეობრივი ნორმები დამოკიდებულია ადამიანებზე და შექმნილ გარემოებაზე.

დავიწყოთ ცნება „სიცრუით“. ყველა დამეთანხმება, რომ სიცრუე ბოროტებაა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. რუსველი წერს:

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. (789,4)

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,

მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა!“ (790,1,2)

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი გვიდასტურებს: სიცრუე ყოველთვის არ არის ბოროტება, მას სიკეთის მოტანაც შეუძლია, რაც დამოკიდებულია შესაბამის გარემოებაზე.

თინათინის დავალებით, ავთანდილი მიდის იმყამად უცხო მოყმედ დასახელებული ტარიელის საძებრად. ავთანდილმა იცოდა — ამის ნებართვას როსტევან მეფე არ მისცემდა; ამის გამო იძულებული გახდა შეეთხზა სიცრუე:

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო;

თინათინის ხელმწიფობა თქვენთა მტერთა გულსა ვჰგმირო.

მორჩილ ქნილი გავახარო, ყოველი ურჩი ავტირო,

ძღვენ გაკადრე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო“.

როსტევან მეფემ მისცა ნებართვა, თუმცა ძალიან ეძნელება მისი ხანგრძლივი განშორება. ამრიგად, ავთანდილმა ამ მტკნარი სიცრუით დაითანხმა როსტევან მეფე და წავიდა არაბთა მეფის დაქვემდებარებულ სამეფოში, რომელიც საპატრონოდ ჩაბარებული ჰქონდა ავთანდილს. ამ სიცრუეში ავთანდილმა ჩართო მისი თანაშეზრდილი მონა და მეგობარი შერმადინი, რომელსაც დაავალა:

„ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრედი, ჰპატრონობდი;

დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი;

წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვრობდი,

აქა სადმე არყოფასა მათმცა მანც რად აგრძნობდი!“ (156).

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს სიცრუე სამი წელი გრძელდებოდა, რამაც სიკეთე მოიტანა: ავთანდილმა იპოვა ფარსადან მეფის უსამართლობით დაჩაგრული ტარიელი, რომელმაც თავისი ტრაგიკული თაგვადასავალი უამბო ავთანდილს. აქვე შესთავაზა ტარიელს ძმური დახმარება ნესტანის ადგილსამყოფელის მოძებნაში. როცა ავთანდილი არაბეთს დაბრუნდა, მან მახარობლად შერმადინი გაგზავნა მეფესთან, რომელმაც აცნობა როსტევან მეფეს ავთანდილის მიერ უცხო მოყმის პოვნა და ის სიცრუეც, რომელიც ავთანდილმა გამოიყენა უცხო მოყმის საძებრად წასასვლელად:

„შესთვალა მეფე უკადრი ხარმცა მორჭმით და დიდობით!

ამას საქმესა ვიკადრებ შიშით, კრძალვით და რიდობით;

მის ყმისა ვერსა ვერ მცნობი ვუხმობდი თავსა ფლიდობით,

აწ ვცან და გაცნევ ყოველსა, მოვალ შვებით და მშვიდობით.“ (680)

როსტევან მეფე არა თუ არ განრისხებულა იმ სიცრუისათვის, რომელიც ავთანდილმა უცხო მოყმის მოძებნის მიზნით გამოიგონა, არამედ დიდი კმაყოფილება განიცადა და ავთანდილს შეეგება დიდებულებთან ერთად.

ახლა გადავხედოთ საქართველოს ისტორიას და გავიხსნოთ ცოტნე დადიანი და თეიმურაზ მეორე.

ცოტნე დადიანმა დიდი ვმირობა ჩაიდინა: მონღოლებმა კოხტაგორაზე შეთქმული ქართველები შეიპყრეს. გაიშიშვლეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და პაპანაქება სიცხეში დაყარეს. ეს რომ ცოტნემ გაიგო, მივიდა შეთქმულ ქართველებთან, გაიხადა ტანზე, წაისვა თაფლი და წამებულ ქართველებს გვერდით მიუჯდა. ეს რომ მონღოლებმა დანახეს, ცოტნეს ჰკითხეს: რატომ მოიქეცი ასეო. მან უპასუხა: ჩვენ შინაურ საქმეზე შეეკრიბეთ, არავითარი შეთქმულება არ ყოფილა, თქვენ თუ მართალ ხალხს სჯით, მეც მართალი ვარ და დამსაჯეთო. მონღოლებმა ოფიქრეს: შეთქმულება რომ ყოფილიყო, ცოტნე არ მოვიდოდა. მთ ყველა შეპყრობილი ქართველი პატრიოტი გაათავისუფლეს. ასე გადაარჩინა ცოტნე დადიანმა სიცრუით ქართველი პატრიოტები საშინელი წამებით სიკვდილს.

თეიმურე მეორემ ლუარსაბ მეფე მტრისაგან დატყვევებას გადაარჩინა. ოი შეიპყრეს, უბრძანეს, ესწავლებინა ლუარსაბის ადგილსამყოფელი. მან მტერი მოატყუა და დიდად დაშორა ლუარსაბ მეფის ადგილსამყოფელს, რაც თეიმურე მეორეს სიკვდილის ფასად დაუჯდა. ზემოთ თქმულიდან ლოგიკური დასკვნა ასეთია: სიცრუემ სიკეთე მოიტანა.

თვით ისტორიული ფაქტებიც ადასტურებს ზნეობრივი ნორმების ფარდობითობას.

(გაგრძელება იქნება)

სახალხო ექიმი–იაგორ თაყაიშვილი

როგორც ისტორიული წყაროებით ირკვევა პირველი სამკურნალო დაწესებულება – საავადმყოფო გაიხსნა გურიაში– ოზურგეთში 1916 წელს ღვაწლმოსილი ექიმის დიმიტრი ერისთავის ინიციატივით. გურიის მოსახლეობა მწვავედ განიცდიდა სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებას გავრცელებული იყო ექიმბაშობა, შელოცვები და სხვა.

სამედიცინო ისტორიამ მრავალი სახელი შემოინახა მე-19 საუკუნეში გურიაში მოღვაწე ექიმებისა, რომლებიც თავიანთ ნიჭსა და ენერგიას არ ზოგავდნენ მაზრის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის. მათგან აღსაღნიშნავია გერმანელი ადოლფ მორიცი, პოლონელი სილვესტრო პლეშოვსკი, იოსებ საკაშვილი, ვასილ გამრეკელი, იაგორ თაყაიშვილი, არტემ დავიდიანცი და სხვები (ლ. ჭეიშვილი – „მე–19 საუკუნეში გურიაში მომუშავე ექიმები“.)

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი აწ განსვენებული ლამარა ჭეიშვილი გადმოგვცემს ოზურგეთში მომუშავე ექიმების ისტორიებს. პირველი ექიმი, რომელიც გურიაში დაუნიშნავთ ყოფილა ადოლფ მორიცი, იგი 4 წლის განმავლობაში ემსახურებოდა გურიის მაზრის მოსახლეობას. ადოლფ მორიცის შემდეგ ოზურგეთის მაზრის ექიმად დაინიშნა სილვესტრო პლეშოვსკი. იგი ჯერ მუშაობდა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში ექიმ ორდინატორად. მე–19 საუკუნის 40–იანი წლებიდან სამხედრო უწყებიდან სამოქალაქო უწყებაში გადადის და სამუშაოდ ინიშნება ოზურგეთის მაზრის ექიმად.

პლეშოვსკიმ გამოავლინა თავი, როგორც შესანიშნავმა სპეციალისტმა, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა ეპიდემიათა საწინააღმდეგო ღონისძიებებში, როგორც ოზურგეთის მაზრაში, ისე ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ქალაქებში. პლეშოვსკი 7 წლის განმავლობაში (1841–1848წწ) ემსახურებოდა გურიის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

1854 წელს გურიაში მაზრის ექიმად დაინიშნა შესანიშნავი ექიმი იოსებ საკაშვილი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის ეპიდემიათა თავიდან ასაცილებლად. 1857 წელს გურიაში ადგილი ჰქონდა შავი ჭირით დაავადების შემთხვევებს. ექიმმა საკაშვილმა უზრუნველყო გურიაში მისი გავრცელების შეჩერება.

გურიაში მოღვაწე ექიმთაგან ცნობილია ვასილ გამრეკელის მოღვაწეობა. მან შეძლო ოზურგეთის მაზრაში, სანიტარული კომისიის გამოყენებითა და თავისი საჯარო ლექციებით მოსახლეობას მოეწყო ორმული საპირფარეშოები, ნაგავი არ დაეყარათ ქუჩაში, წლების განმავლობაში ოზურგეთის ქუჩები და მოედნები ინახებოდა სუფთად. ვასილ გამრეკელმა საფუძვლიანად შეისწავლა გურიაში ენერიული სნეულების გავრცელება და ამ სნეულების გავრცელების მიზეზად ჯარის ნაწილებს ასახელებდა. 1875 წელს ექიმი გამრეკელი გადაყვანილი იქნა მშობლიურ ახალციხეში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

1875 წლიდან გურიის მაზრაში მუშაობდა კურორტ ბახმაროს მომწყობი ექიმი არტემ დავიდიანცი. იგი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა გურიის მოსახლეობას. არსებობს გადმოცემა, თუ როგორ აღმოაჩინეს ბახმარო. მან ინახულა ორი ავადმყოფი, რომლებიც შეპყრობილი იყვნენ ტუბერკულოზით. აღნიშნულ ავადმყოფებს არ ჰქონდათ საუალება, სადმე ცნობილ აგარაკზე წასულიყვნენ და ამის გამო ექიმმა ურჩია სადმე მაღალ ადგილებზე წასვლა. ავადმყოფები წაყვნენ მწყემსებს ბახმაროში და მთელი ზაფხული გაატარეს იქ, საოცარი ცვლილებები მომხდარიყო ფილტვებში ჰაერის გავლენით. ექიმმა დავიდიანცმა მოინახულა ზუსტად ის ადგილები, სადაც ავადმყოფები ისვენებდნენ და თქვა, რომ აქ კურორტი უნდა განვითარდეს და პირველი სახლიც მან ააგო.

გურიაში მოღვაწე ექიმთა შორის გამორჩეული იყო პრაქტიკოსი ექიმი იაგორ თაყაიშვილი. იგი გურიის მკვიდრი იყო. მე–19 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ჩამოსულა გურიაში, როგორც ექიმი. 1875 წელს გაზეთი „დროება’ წერდა: „ახალგაზრდა ექიმი იაგორ თაყაშილი ჩამოსულა და უფასოდ ღარიბებს მკურნალობსო“ იგი თავის სოფელში ლიხაურში დასახლებულა და ახლომახლო სოფლის მოსახლეობას უწევდა საექიმო დახმარებას. თავისი ცოდნითა და ენერგიით მალე დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა. მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის მოგონებიდან ვიგებთ: „’იაგორ თაყაშვილი ძალიან ხალისიანი და ყურადღებიანი პიროვნება იყო“.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმესთვის უარი ეთქვას და რა დროც უნდა ყოფილიყო, არ წაჰყოლოდა სახლში ავადმყოფის სანახავად. წამალსაც თითქმის ყველას უკეთებდა, ამავე დროს ოზურგეთის სკოლის ექიმიც იყო. ერთხელ მაჩემს სიცილით უამბობდა: ბევრი ზარმაცი ბავშვია ჩვენს სკოლებში, მოდიან და მეუბნებიან სკოლაში სიარული არ შემიძლიაო.

– რა გტკივა ბიძია? – ვეკითხები.

– გული მტკივა.

– აბა, სად გტკივა, მაჩვენე.

თვითონაც არ იცის, სად დაიდოს ხელი, მუცელზე თუ წელზე.

– კარგი, ,ბიძია, იმისთანა წამალს გამოგიწერ, რომ მოგარჩენს და ხვალ წადი სკოლაში.

– ვუწერ „აკვა დესტილატას” და ვეუბნები, ეს ძალიან ძლიერი წამალია სამი წვეთის მეტი არ დალიო, სამჯერ დღეში, თანაც შაქარიც დაატანე, ღამე დაიძინე და ხვალ დილით სულმოლად საღსალამთი ადგები. „აკვა დესტილატა” ხომ დაწმენდილი წყალია. ასე ვარჩენ ზარმაც ბავშვებს. ხანდახან მართლა ავადმყოფებიც მოდიან და მთხოვენ, ბიძია იმისთანა წამალი მოგვეცი, გუშინ მოსულ ბაღანას ,რომ მეცი.

საზოგადოდ უნდა ითქვას, დიდი მოვალეობის და თავმდებლობის კაცი იყო. მიუხედავა იმისა, რომ პატივცემული პიროვნება იყო, რეცეპტებზე ხელს მაინც არ აწერდა ექიმი, აწერდა მეხუთე



კურსის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი. განსაკუთრებული პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდა ყველას დიდსა თუ პატარას და ამასთანავე დიდ შრომას ეწეოდა: ყოველი ავადმყოფის ანკეტას წერდა და ადგენდა მისი ავადმყოფობის ისტორიის დაკვირვებასა და კვლევა- ძიებას თუ რა იყო ავადმყოფობის მიზეზი ამაირი შრომები ბევრი ჰქონდა შედგენილი მხოლოდ არ ვიცი საშუხაროდ რა ბედი ეწია მის ნაშრომებს (ნ. ნაკაშიძე ოიმფ. საქმე 531).

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

ერთი პატარა მდინარის ისტორია

სანიღელე

სუფსის ხეობის ზემო წელზე, ციცაბოურად წოდებულ პატარა უბნის ტერიტორიაზე მხოლოდ ორი დასახლება ჩაგვიწერია. ერთი ესაა „სანიღელე“, ხოლო მეორე – „სურნალი“ (სათესი) (ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, წიგნში „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, IV, თბილისი, 1971, გვ. 124).

ამათგან ამჯერად პირველი გვაინტერესებს.

„სანიღელე“ პატარა მდინარეა, სუფსის მარჯვენა შენაკადი, დიდ დაღმართზე მიედინება, ძლიერ დახრამულ და ღრმად ჩავარდნილ კალაპოტში. როგორც მთის ყოველმა მდინარემ, სანიღელემაც სწრაფი ადიდება იცის. ამ დროს არაფერს დაგიდევთ და ყველაფერს იქეთკენ მიაქანებს, საითაც ასე თავგამეტებით მიეშურება.

მთის შორიახლო მცხოვრებლებმა კარგად იციან სანიღელის „ხასიათი“, მაგრამ მის სტიქიასთან ყაბულნი არიან და ათა-ბაბადან დღემდე მხოლოდ შორიდან მაყურებლის როლში რჩებიან და წყევლა კრულვითღა თუ იმშვიდებენ თავს.

ისე, თუ წვიმა არაა ან თოვლი არ დნება, ზაფხულის ცხელი დღეები დგას, სანიღელე მაინც თავაწყვეტით მიედინება დამრეც კალაპოტში, ოღონდ დიდ ქვებსა თუ „ძიროულ ხეებს“ აღარ მიაქანებს სუფსისკენ და მიახლოებისას ხელცარიელს ცოტა არ იყოს, უხერხულობის გრძნობაც კი იპყრობს, მაგრამ დედა სუფსა ამას ყურადღებას არც აქცევს და ჩვეული ენერგიულობით მიეშურება ზღვისკენ. ახლა მიიჩქარის ზღვისკენ, თორემ ათასწლეულთა წინ ფასის მდინარისკენ (ახლა რიონი) მიექანებოდა, რომელსაც მარცხნიდან ერთვოდა ნიგოითის ქედის ბოლოს.

იმ დროს რა ერქვა სუფსას ან სანიღელეს, დღესდღეობით არავინ უწყის.

მაგრამ გამოხდა ხანი და „ფსე“ და „ფსა“ ენაზე მეტყველმა ნათესავთა (ტომები) სურის წყალგამყოფი ქედიდან სამხრეთით მიმდინარე წყალს „სურფსა“ უწოდეს, რაც შემდეგ „სუფსად“ გამარტივდა. მდინარის ამ სახელწოდებას და მის მიმდინარეობასაც დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც იცნობდა.

საინტერესოა, რომ ეს სახელწოდება ჩვენს ისტორიკოსს გურული დიალექტის („სუფსეთ“) ფორმით მოაქვს, რაც იმას მოწმობს, რომ ამ მდინარის მიმდინარეობისა და გურიის აღწერის დროსაც ადგილობრივ ინფორმაციებს ემყარებოდა.

სუფსა გურიის ისეთივე მდინარეა, როგორც კორა (კურა) ქართლისა.

სუფსას ვერც ერთი სხვა მდინარე, მათ შორის ვერც ნატანები და ვერც კინტრიში ვერ შეედრება.

აბა, ჩაქი და ბათომის მდინარე უფრო მცირე ტერიტორიას აკოცხლებს.

ყველა ესენი, დიდნი თუ მცირენი, ხევთა წარმომქმნელნი გახლავთ და მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ისტორიული მისიის მქონენია.

ასე, რა თქმა უნდა, არ ითქმის სანიღელეზე, მაგრამ უფუნქციოდ არც ის დარჩენილა.

რა ფუნქცია ჰქონდა სანიღელეს იმ დროს, როდესაც სურების თემი არსებობდა, ჯერ კიდევ სამიებელია, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს თემი დაიშალა და ერთიანი სურები რამდენიმე სოფლად დაიშალა, სანიღელესაც ფუნქცია გაუჩნდა. ეს ფუნქცია მისი სასაზღვრო, ანუ სასამნო ღელედ ქცევაში გამოიხატებოდა. სანიღელე ამიერიდან სურების თემის ნანგრევებზე აღმოცენებულ ორ მშვენიერ სოფელს ზემო და თავსურებს მიჯნავდა ერთიმეორისაგან.

მას შემდეგ საუკუნეებმა ჩაიარეს, მაგრამ სანიღელე, ანუ სამან-სამანისღელე დღემდე კარგად ასრულებს თავის ისტორიულ დანასაქმს და კვლავ ძველებურად აკონტროლებს ზემო და თავსურების გამყოფ ზოლს.

ასეთი ფუნქცია მრავალ ქართულ მდინარეს ჰქონია ძველად და ბევრი დღესაც ინარჩუნებს მას.

ზოგს, თავისი მდებარეობის წყალობით, ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაც შეუთავსებია და გაცილებით დიდი ტერიტორიისათვის დაუდვია სამანი. ასეთთა შორისაა ღალიძგა (ოჩამჩირე), რომელიც ერთ დროს ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთ სამანს (საზღვარს) დებდა.

არის ისეთი მდინარეებიც, რომლებიც ღალიძგას არც აღემატებიან სიდიდით, მაგრამ ისტორიამ მათ დიდ სახელმწიფოთა სამანის ფუნქცია დააკისრა.

ერთ დროს ასეთი ფუნქცია მდინარე ცხრაფონასაც გაჩნდა. მოგვიანებით ეს ფუნქცია მან დაკარგა და იგი მდინარე ჩოლოქზე გადავიდა.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

დავით შემოქმედელის საღამო

სამშაბათს, 20 იანვარს, 15 საათსა და 45 წუთზე საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ არხზე ნაჩვენები იქნება დავით შემოქმედელის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-შემოქმედებითი საღამოს სრული რეპორტაჟი რუსთაველის სახელმწიფო-აკადემიური თეატრიდან.

გახსენება

რევაზ ბაბილოძე



2 იანვარი შენი დაბადების დღეა. წელს პირველად შეგხვდით უშენოდ. პირველი წელია, რაც შენი ღიმილიანი, ცრემლნარევი თვალებით არ ყოფილხარ შენი ოჯახის მეკვლე.

უსაზღვროა სევდა, ცრემლი და მონატრება, რაც შენს ოჯახს დაუტოვა უშენობით გამოწვეულმა ტკივილმა. ყველგან შენზე გაბნეული მოგონებები გვეგებება. ტკივილს ვერც შენი კაცური და საამაყოდ დატოვებული სახელი ანელებს. ჩვენ შენ გვჭირდები, ყველას უზომოდ გვენატრები.

ხშირად ვიმეორებ, მამა, მამა, აქ კი, შენი ხმის ნაცვლად, გაყინული სიცივე გვეგებება. გვენატრები მა...

59 წელი შეგისრულდებოდა. პატარა ბავშვივით გიხაროდა. მოვალთ შენს საფლავთან, მოგილოცავთ.

მამა... არ მეგონა, ყველაზე დიდი სიძლიერე და სიამაყე, ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდ, მოუშუშებელ ტკივილად თუ იქცეოდი. შენ ხომ შენი ოჯახის, შვილების, შვილიშვილების და მეუღლის უსაზღვრო ტკივილი ხარ.

მწამს, რომ შენი სიკეთე წმიდა სანთლებად დაენთება შენს ბაბუჩიკებს – რეზოს და გიოს და ისინი შენი სახელის ღირსეული გამგრძელებლები იქნებიან.

გვიყვარხარ და გვენატრები.

ოჯახი.

მარადი კუბუსიძე



მუხთალმა წუთისოფელმა არ დაგინდო, წაგართვა სიცოცხლე, რომელსაც ასე იმშვენებდი. მთელი ჩვენი ოჯახის და ნათესავ-მეგობრების თვალი იყავი, გვეიმედებოდი, ცდილობდი, ცხოვრების ფერხულში ჩაბმულს პატიოსნება და სიმართლე მეგზურად გაგეხადა.

დრო გადის, მაგრამ კიდევ უფრო მძაფრი და მწვავეა მონატრების გრძნობა, რაღას არ მოვიგონებთ, რაღას არ ვეჭიდებით, რომ მოგონებებში მაინც გაგაცოცხლოთ, ყველაზე მეტად მაინც ღმერთის მფარველობის იმედი გმაქვს. გვწამს, რომ ზეციურ საუფლოში, მართალთა შორის დაივანა შენმა ლამაზმა სულმა.

19 იანვარს გისრულდება 27 წელი. შენი თვალცრემლიანი ოჯახი და მეგობრები უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს... სანთლებს აგინთებთ, ყვავილებით შეგიმკობთ საფლავს და ვილოცებთ მხურვალედ.

შენი ოჯახი და მეგობრები.

მილოცვები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა გილოცავთ კალანდობას და ნათლიღებას

მრავალ კალანდობას და ნათლიღებას, ძვირფასო ოზურგეთელებო!

შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი

ბატონ არსენ კეჭაყმაძეს!

შპს ადამ მერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრის — „ანასეულის“ თანამშრომლები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ბატონ არსენ კეჭაყმაძეს მიენიჭა ქ. ოზურგეთის საპატიო მოქალაქის წოდება.

ბატონი არსენი 27 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცენტრ „ანასეულს“.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოცირებული პროფესორი, დღესაც განაგრძობს აქტიურ ცხოვრებას, თავისი მხნე, გამჭრიახი გონებითა და საღი იუმორით, ალამაზებს ქალაქს, მის საყვარელ ანასეულს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ოზურგეთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას ვულოცავთ, უსათნოეს ქალბატონს ეთერ ქადეიშვილს და ჩვენს მეგობარს თეიმურაზ ჯახვას,

ბატონო არსენ !

გილოცავთ ახალი 2015 წლის მობრძანებას ! გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს, სიყვარულს თქვენს საყვარელ ოჯახთან, მეგობრებთან და თანამშრომლებთან ერთად.

გთხოვთ დიდხანს, დიდხანს გაალამაზეთ ოზურგეთი და ოზურგეთელები.

ჩვენო მედეა!

თბილი გულითა და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ განსაკუთრებულ იუბილეს — ექვსი ათეული წლის ღირსეულად გასრულებას.

სამოცი წელი შემოქმედებითი შრომის დღეა, წინ გიძევთ პედაგოგიური საქმიანობის დიდი გზა.

კვლავ ჩვეული ერთგულებით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით, თქვენეული ნიჭითა და უნარით გელვაწოთ მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

უფლის წყალობა და კეთილდღეობა არ მოგაკლებოდეთ თქვენ და თქვენს ლამაზ ოჯახს.

ღრმესი პატივისცემით,
სპმთპ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

გოჩა შალვას ძე სალუქვაძეს დაბადების დღის 50 წლისთავთან დაკავშირებით

ჩვენო საყვარელო და საამაყო სიძევ, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან, შვილიშვილებთან და ყველა შენს მოკეთესთან ერთად. იხარე და იბედნიერე.

ვსარგებლობთ მომენტით და გილოცავთ შობა-ახალ წელს. 2015 წელი შენთვის ყოფილიყოს ჯანმრთელობის. წინსვლის და წარმატების წელი.

გიზო, ლამრო, ლიკა
გორგილაძეები

ავტოშოუ დეტროიტი - 2015

საუკეთესო ავტომანქანები აშშ-ში: „ფორდი“ და „ვოლკსვაგენი“

12 იანვარს დეტროიტში დასახელდა კონკურს „წლის ავტომობილის“ გამარჯვებული ამერიკის შეერთებულ შტატებში. წლეულს ამერიკელმა ექსპერტებმა საუკეთესოდ ცნეს ... გერმანული ავტომანქანა, - აქ დიდად სენსაციური არაფერია, — „ვოლკსვაგენ გოლფი“, რომელმაც უკვე მოასწრო მთელ მსოფლიოში მრავალი პრიზის შეგროვება (მაგალითად, შარშან ის საუკეთესო გახდა ევროპაში). მსუბუქ ავტომობილებს შორის მეორე ადგილზე „ფორდმუსტანგი“ გავიდა, ხოლო საპრიზო სამეული დახურა „ჰიუნდაი გენესისმა“.

რაც შეეხება „მაღალგამავლობიანსა“ და სატვირთოებს“, აქ გამარჯვებული კარგა ხნის ცნობილი იყო ძალიან ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ლეგენდარული „ფორდი - F-150“, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თავში ედგა აშშ-ში ყველაზე მეტად გაყიდვადი მანქანების სიას, ხელიდან გაუშვებდა გამარჯვებას. მეორე ადგილი წილად ხვდა „შევროლეტ კოლორადოს“, ხოლო არასაგზაო გლამურულმა „ლინკოლნ MKC-m“ მესამე ადგილი დაიმკვიდრა.

19 წლის ეკვადორელი სილამაზის დედოფალი ლიპოქსაციის შემდეგ გარდაიცვალა

სურვილი, იმისა, რომ რომ ფლობდე იდეალურ ფიგურას ნებისმიერი გზით, ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. 14 იანვარს ეკვადორში დაიღუპა 19 წლის ლამაზმანი კატერინა კანდო, გამარჯვებული სილამაზის კონკურსისა ლეინა დე ურან 2014, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ლათინურ ამერიკაში.

გოგონა გარდაიცვალა ლიპოქსაციის შემდეგ, რომლის გაკეთება მას ურჩია კონკურსის ჟიურიმ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე +2+13	მზე +5+15	მზე +7+15	მზე, ღრუბელი +9+16	მზე, ღრუბელი +9+16	მზე, ღრუბელი +9+16	მზე +9+15
19 იანვარი ორშაბათი	20 იანვარი სამშაბათი	21 იანვარი ოთხშაბათი	22 იანვარი ხუთშაბათი	23 იანვარი პარასკევი	24 იანვარი შაბათი	25 იანვარი კვირა